ხელშეკრულება
საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ

ერთის მხრივ სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გარი რობერტ კრიპინის მიერ და მეორეს მხრივ, ამავე სკოლის ------- კლასის მოსწავლე ---------- (შემდგომში „მოსწავლე“) და მისი კანონიერი წარმომადგენელი ---------- (შემდგომში „წარმომადგენელი“) ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში „ხელშეკრულება“) მოსწავლე უფლებამოსილია მიიღოს სკოლისგან საგანმანათლებლო მომსახურება. წარმომადგენელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს სკოლას წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოსწავლისათვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების საფასური (შემდგომში „სწავლის საფასური“) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით. სკოლა თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას, სრულად და ხარისხიანად გაუწიოს მოსწავლეს საგანმანათლებლო მომსახურება და უფლებამოსილია მოსთხოვოს მოსწავლეს და წარმომადგენელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

1.2. მხარეების უფლებები და ვალდებულებები ერთმანეთის მიმართ განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და სხვა შიდა სასკოლო დებულებებით;

1.3. სკოლის შინაგანაწესი და სხვა შიდა სამართლებრივი აქტები წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. წარმომადგენელი ადასტურებს რომ იცნობს და ეთანხმება მათ შინაარსს. სკოლა ვალდებულია, რომ მათი შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს წარმომადგენელს სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებით ან/და ელექტრონული შეტყობინების მეშვეობით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. სკოლა ვალდებულია:

2.1.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გასწიოს საგანმანათლებლო მომსახურება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, ხარისხიანად და სრულყოფილად;

2.1.2.უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორგანიზაცია სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში;

2.1.3.შეუქმნას მოსწავლეს სწავლისათვის ადეკვატური გარემო;

2.1.4.უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

2.1.5.უზრუნველყოს სკოლაში კეთილმოწყობილი და სანიტარული ნორმების შესაბამისი კვების ობიექტი არსებობა;

2.1.6.უზრუნველყოს მოსწავლეთათვის პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევა;

2.1.7. უზრუნველყოს მოსწავლეთა ტარნსპორტირება რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან სკოლამდე სწავლის დაწყების წინ და სწავლის დამთავრების შემდეგ პირიქით.

2.1.8. შეასრულოს სკოლის შინაგანაწესით და სხვა შიდა სამართლებრივი დოკუმენტებით ნაკისრი ვალდებულებები.

2.1.9. სწავლის გადასახადი არ ფარავს კვების ხარჯებს, სპეციალური კურსების, როგორიცაა AP საგამოცდო ხარჯებს, არც SAT1 და SAT2 სასწავლო და სხვა სპეციალურ საგამოცდო ხარჯებს, რაც არ არის სკოლის სასწავლო პროგრამის ნაწილი. სკოლა ასევე არ ფარავს მოსწავლის საუნივერსიტეტო განაცხადის გადასახადის ღირებულებას და სხვა შემთხვევით ხარჯებს, რაც დაკავშირებულია სკოლისშემდგომი კლუბების საქმიანობასთან.

2.2. სკოლა უფლებამოსილია:

2.2.1.მოსთხოვოს წარმომადგენელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, წესითა და ოდენობით;

2.2.2. მოსთხოვოს წარმომადგენელს ყველა იმ დავალიანებისა და/ან დაზიანების სრულად ანაზღაურება რაც მოსწავლეს წარმოეშობა სკოლის წინაშე სწავლის განმავლობაში;

2.2.3.წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

2.2.4. მოსწავლის არადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების ან/და დისციპლინის უხეში დარღვევის შემთხვევაში შეუწყვიტოს მას მოსწავლის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია არ დააბრუნოს გადახდილი სწავლის საფასური;
2.2.5. მოსთხოვოს მოსწავლეს/წარმომადგენელს წინამდებარე ხელშეკრულებითა და სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

2.3. მოსწავლე ვალდებულია:
2.3.1.დაიცვას სკოლის შინაგანაწესი.

2.4. მოსწავლე უფლებამოსილია:
2.4.1.მიიღოს სკოლისაგან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი, ხარისხიანი და სრულყოფილი საგანამანათლებო მომსახურება;
2.4.2.ისარგებლოს სკოლის კაფეტერიით და პირველადი სამედიცინო მომსახურებით;
2.4.3. ისარგებლოს სკოლის მიერ შეთავაზებული სატრანსპორტო მომსახურებით;
2.4.4.სკოლის შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი დოკუმენტებით დადგენილი წესით ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
2.4.5.მიიღოს სკოლის მიერ დამტკიცებული ფორმის საგანმანათლებლო დოკუმენტი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაცხადებული აკადემიური კრედიტების წარმატებით დასრულების შემთხვევაში (იხ. სტუდენტის შინაგანაწესი)

2.5. წარმომადგენელი ვალდებულია:
2.5.1.გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასური, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, წესითა და ოდენობით;
2.5.2. აანაზღაუროს მოსწავლის მიერ სკოლისათვის მიყენებული ზიანი და/ან დავალიანება;

2.6. წარმომადგენელი უფლებამოსილია:
2.6.1.მოსთხოვოს სკოლას ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შესრულება;

3. სწავლის საფასური, მისი გადახდის წესი, ვადა და პირობები

3.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მოსწავლის სკოლაში 1 (ერთი) სასწავლო წლის სწავლის საფასური განსაზღვრულია ---------- ლარის ოდენობით ან აშშ დოლარის ექვივალენტის ტოლი თანხით, რომელიც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 1 ივნისის მდგომარეობით დაფიქსირებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----------ლარს ან აშშ დოლარის ექვივალენტის ტოლ შესაბამის თანხას, რომლის გადაცვლის კურსი მითითებულია 3.1 პუნქტში და რომელიც ფარავს 4(ოთხი) სასწავლო წლის გადასახადს.

3.2.1 თუ ნებისმიერი აკადემიური წლის განმავლობაში აშშ დოლარის ქართულ ლართან მიმართებაში გადაცვლის კურსი (იხ. გადაცვლის კურსი 3.1 პუნქტის მიხედვით), გაიზრდება 10%-ზე მეტად, სკოლა იტოვებს უფლებას შესაბამისად გაზარდოს მომდევნო სასწავლო წლის სწავლის გადასახადი;

3.3. წარმომადგენელი ვალდებულია დეპოზიტი -2,000(ორი ათასი) ლარის ოდენობით გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის;
სწავლის გადასახადი, გადახდილი დეპოზიტის თანხის გამოკლებით, უნდა დაიფაროს სასწავლო წლის დაწყებამდე, შემდეგი გრაფიკით:
სასწავლოს წლის საფასურის 50%-ის გადახდა ხდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე - 15 ივნისამდე. ხოლო დარჩენილ 50%-ის გადახდა მოხდება 30 სექტემბრამდე.

3.4. წარმომადგენელისა და სკოლის შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებელია განისაზღვროს 3.3 პუნქტისგან განსხვავებული სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი; გრაფიკი დამტკიცებული უნდა იყოს სკოლის დირექტორის მიერ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში და დანართის სახით დაერთვება ხელშეკრულებას. დანართში მითითებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმომადგენელი წერილობით იქნება გაფრთხილებული დანართის გაუქმების თაობაზე და დაეკისრება სწავლის გადასახადის თანხის დაუყოვნებლივ გადახდა; გრაფიკით გადაუხდელი სწავლის გადასახადი დაექვემდებარება 4.1 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.

3.5. მოსწავლის სწავლის საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე;

3.6. სკოლის შინაგანაწესის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსწავლეს დაუწესდეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ სწავლის საფასურისგან განსხვავებული ოდენობა;

3.7. სწალის განსხვავებული გადასახადი დგინდება ყოველწლიურად;

3.8. მოსწავლის მიერ სწავლის ნებაყოფლობით შეწყვეტის შემთხვევაში:

3.8.1. თუ მოსწავლე სწავლას წყვეტს სასწავლო წლის სექტემბრის თვეში, გადახდილი სწავლის გადასახადი დაუბრუნდება სრულად.

3.8.2. თუ მოსწავლე სწავლას წყვეტს სასწავლო წლის სექტემბრის თვის დასრულების შემდეგ, დაუბრუნდება გადახდილი სწავლის გადასახადის 40%;

3.8.3. თუ მოსწავლე სწავლას წყვეტს სასწავლო წლის თებერვლის თვის პირველი კვირის გასვლის შემდეგ, გადახდილი სწავლის გადასახადი არ დაუბრუნდება.

3.9 თუ მოსწავლე გაირიცხება სკოლიდან მოსწავლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადახდილი სწავლის გადასახადი არ დაუბრუნდება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. წარმომადგენლის მიერ სწავლის საფასურის გადახდის ვადის დარღვევის(ვადაგადაცილების) შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია 30 დღიანი საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, დააკისროს წარმომადგენელს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1,5%-ის ოდენობით თვეში. ასევე შესაძლებელია მოსწავლე არ იქნას დაშვებული გაკვეთილებზე და შეეზღუდოს სასკოლო ჩანაწერებისა და ნიშნების ფურცლის მიღების უფლება.

4.2. პირგასამტეხლოს დაკისრება არის სკოლის უფლება და არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

5. ფორს-მაჟორი

5.1. არც ერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ისეთი გარემოებების შედეგად როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა ხანძარი სტიქიური უბედურებანი, ომი და საომარი მოქმედებანი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

5.2. მხარე, რომლისთვისაც 5.1 მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო შეუძლებელი შეიქნა დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია, როგორც მისი დადგომის, ისე მისი დამთავრების მომენტიდან არაუგვიანეს 5 დღისა წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს;

5.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წინაპირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მოსწავლის სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში; მოსწავლე არ დაიშვება სკოლაში, თუ ხელშეკრულება ხელმოწერილი არ არის.

6.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში ა) თუ წარმომადგენელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს; ბ) მოსწავლის/წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, რომელიც უნდა ეცნობოს სკოლას შეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე, გ) შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

7. დავის გადაწყვეტის წესი

7.1. მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით;
7.2. დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ყველა შეთანხმება ძალაში რჩება იმ დრომდე სანამ მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან სხვა რამეზე;
8.2. ხელშეკრულების პუნქტებში დამატებების ან/და ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობით შეთანხმების საფუძველზე და დადასტურებულია მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერებით;
8.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილად ცნობას;
8.4. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და განკუთვნილია მხარეთათვის გადასაცემად;
8.5. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
8.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან. თუ სკოლამ წარმომადგენელს მიაწოდა წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოსაწერად, მაგრამ წარმომადგენელმა უგულვებელყო და არ მოაწერა ხელი, მისი შვილის (მოსწავლის) სკოლაში დასწრება განიხილება როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ პირობებზე დათანხმება.

9. მხარეთა რეკვიზიტები

სკოლა	**წარმომადგენელი**
სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ ს/კ 204958000 იურ.მის: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. 37ა საბანკო ანგარიში : GE21 TB06 0000 0022 4678 05 გენერალური დირექტორი გ. კრიპინი ხელმოწერა:	სახელი, გვარი: მისამართი: ტელ: ელ-ფოსტა: ხელმოწერა

ქ. თბილისი თარიღი: ,, -------- ---------- ---------- წ